სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 იანვარი, 2025 წ

ბრძანება N 01-02/06

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის **თესალონიკის** არისტოტელეს უნივერსიტეტში საერთაშორისო **მობილობისთვის ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (20.01.2025 წლის №32526) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში(საბერძნეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე **3 აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი **ვადები და კრიტერიუმები:**

   1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება - **2025 წლის 20 იანვრიდან - 08 თებერვლის ჩათვლით 12:00 საათამდე:**

   ა) აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

   ბ) მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ელექტრონულ ფოსტაზე info@bsu.edu.ge;

   1.2 საბუთების შემოწმება და შეფასება - **2025 წლის 08 თებერვალი - 12:30 – 13:30 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

   1.3. გასაუბრება კომისიასთან - **2025 წლის 08 თებერვალი, 14:00 საათი;**

   1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტებისათვის - **არაუგვიანეს 2025 წლის 09 თებერვლის 18:00 საათისა.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) რექტორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ხათუნა ხაბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი კომისიის მდივანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი

მ. ხალვაში